

#7, სექტემბერი, 2007

## იურიდიული დახმარების კლინიკა

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტში შეიქმნა იურიდიული დახმარების კლინიკა, რომლის მიზანია სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის იურიდიული მომსახურება.

### კლინიკაში იურიდიული მომსახურება უფასოა და მოიცავს:

- იურიდიულ კონსულტაციას;
- სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებას;
- განსაკუთრებულ შემთხვევებში წარმომადგენლობას ადმინისტრაციულ ორგანოებში და სასამართლოში.

### კლინიკის საქმიანობის ფორმები

- სატელეფონო კონსულტაცია;
- პირადი კონსულტაცია;
- გასვლითი იურიდიული კონსულტაცია (რეგიონებში);
- [ონლაინ კონსულტაცია](#).

თბილისი 0171

26 მაისის მოედანი 2, V სართული

ტელ: (995 32) 94 16 05

ფაქსი: (995 32) 33 04 17

ელ-ფოსტა: [legalclinic@civilin.org](mailto:legalclinic@civilin.org)


ვებ-გვერდი: [www.civilin.org/welfare](http://www.civilin.org/welfare)

ყოველთვიურ ელექტრონულ გამოცემას ამზადებს სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი

ვებ-გვერდი: [www.civilin.org](http://www.civilin.org)

## სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის საარსებო გარემოს გაუმჯობესებაზე მუშაობს

პროექტის ფარგლებში ინსტიტუტი აშუქებს ამ სფეროში მომუშავე საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობებს, ღონისძიებებს.



### წიგნის პრეზენტაცია

12 სექტემბერს სახალხო დამცველის ოფისში გაიმართა ზიგვრიდ მ. პოიშელის წიგნის პრეზენტაცია. ახალი შევსებული სახელმძღვანელო, სახელწოდებით „დაუნის სინდრომი“, დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების მშობლებისთვის, პროფესიონალებისა და აგრეთვე, ყველა დაინტერესებული პირისთვის არის განკუთვნილი.

(გაგრძელება მე-2 გვ.)

*(გაგრძელება)*

10 წელზე მეტია მშობლები და სპეციალისტები წარმატებით იყენებენ ზიგფრიდ მ.პოიშელის წიგნს. განახლებული გამოცემა შეიცავს ყველა იმ მიღწევას, რომელიც ბოლო ათწლეულების მანძილზე დაუნის სინდრომის შესწავლის სფეროში მოხდა, რამაც თავისთავად წიგნის გადახალისება – ახალი ფაქტების, ახალი თავების დამატება მოითხოვა, რაც სინდრომის შესახებ ახალ ცოდნასა და მიღწევებს ასახავს.



წიგნის ქართული თარგმანი გამოსცა დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების მშობლებისა და პროფესიონალების კავშირმა – „ჩვენი ბავშვები“. კავშირი თბილისში, 2006 წელს დაარსდა და მასში გაერთიანებული არიან ექიმები, ფსიქოლოგები, ოკუპაციური თერაპევტები, ასევე დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების მშობლები და მათი ახლობლები.



ორგანიზაციის მიზანია იზრუნოს დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების სოციალურ

რეაბილიტაციაზე და ამ პრობლემის მიმართ საზოგადოების თვითშეგნების ამაღლებაზე. მიზნების მისაღწევად ორგანიზაცია თარგმნის და ავრცელებს უახლეს ინფორმაციას, ქმნის საინფორმაციო ბროშურებს მედ-პერსონალისა და მშობლებისთვის. ინფორმაციის ურთიერთგაცვლის მიზნით აწყობს მშობელთა შეხვედრებს, ასევე სამედიცინო სფეროს იმ წარმომადგენლებთან, რომლებსაც შეხება აქვთ დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებთან.

*ამონარიდი ეპილოგიდან:*

„... ჩვენ უნდა გავაგებინოთ საზოგადოებას, რომ დაუნის სინდრომის მქონე ინდივიდები უფლებების მქონე ადამიანები არიან, მიუხედავად იმისა, რომ მათ არა აქვთ მაღალი აკადემიური მიღწევები, რომ ისინი ღირებულნი და უნიკალურები არიან ისევე, როგორც ნებისმიერი ადამიანი. საზოგადოებამ უნდა მიიღოს და „ალიაროს“ ბავშვი არა იმ შეზღუდვების გამო, რომელიც მას ახასიათებს, არამედ მისი შესაძლებლობებისა და ძლიერი მხარეების გამო. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ დაუნის სინდრომის მქონე პირებმა მიაღწიონ თავიანთი კანონიერი უფლებების დაცვას, როგორც ღირებულმა და პროდუქტიულმა მოქალაქეებმა. და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ჩვენ ხმამაღლა უნდა განვაცხადოთ, რომ ისინი ჭეშმარიტად ადამიანური ბუნებისანი არიან და რომ მათი სიცოცხლე ღირებული და ხელშეუხებელია. დემოკრატიულ საზოგადოებაში მცხოვრები სხვა მოქალაქეების მსგავსად, ჩვენს შვილებს უნდა ჰქონდეთ იმგვარი სტატუსი, რომელიც დაიცავს ყველა მათ უფლებასა და პრივილეგიას და ადამიანურ ღირსებას შეუნარჩუნებს“.

ზიგფრიდ მ. პოიშელი

## სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების ორგანიზაციული განვითარების კვლევის შედეგები

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი აგრძელებს სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების ორგანიზაციული განვითარების კვლევის შედეგების გამოქვეყნებას. ამჯერად გაგაცნობთ იმ პრობლემებს, რომლებსაც აწყდებიან ორგანიზაციები საქმიანობისას.


ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი, ეს განსაკუთრებით ეხება რეგიონის ორგანიზაციებს.

გამოკითხული ორგანიზაციების 25,4%-ს მიღებული აქვს მონაწილეობა სახელმწიფო შესყიდვების პროცედურებში. ორგანიზაციათა 60%-ის შეფასებით ეს პროცესი გარკვეულ სირთულეებთან იყო დაკავშირებული (დიაგრამა #1).

### პრობლემები, რომლებსაც აწყდებიან ორგანიზაციები საქმიანობისას

როგორც კვლევამ ცხადყო ზრუნვაზე ორიენტირებული ორგანიზაციები, ისევე, როგორც სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, დიდწილად არიან დამოკიდებულნი გარე დაფინანსებაზე. ორგანიზაციათა ძალზე მცირე ნაწილი იღებს სავსურს ბენეფიციარებისგან გაწეული სერვისისათვის. ამიტომ ორგანიზაციათა უმრავლესობისათვის უპირველესი პრობლემა ფინანსების მოძიებაა. ამ პრობლემას ორგანიზაციები განიხილავენ, როგორც შიდაორგანიზაციულ, ასევე გარე ფაქტორად. შიდაორგანიზაციულ კონტექსტში, ისინი აქცენტს აკეთებენ ორგანიზაციის გაუმართავ ფანდრაიზინგის სისტემაზე, ხოლო გარე ფაქტორის კონტექსტში, დაფინანსების არარსებობა/ნაკლებობას უკავშირებენ, როგორც დონორებს, ასევე სახელმწიფო სტრუქტურებსა და ბიზნეს ორგანიზაციებს.

დიაგრამა 1. სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების შეფასება



- ძალიან რთული ■ უფრო რთული
- უფრო ადვილი □ ძალიან ადვილი

გამოკითხული ორგანიზაციების აზრით, საქართველოში ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული სახელმწიფოსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის ურთიერთობის ეფექტური მექანიზმები. სახელმწიფო ჯერ კიდევ არ ენდობა სერვისის პროვაიდერებს, რაც განპირობებულია, ერთი მხრივ, ადრეულ წლებში ზრუნვაზე ორიენტირებული ორგანიზაციებისათვის საგადასახადო შეღავათების უკუეფექტით სახელმწიფოს საზიანოდ (სახელმწიფო ჩინოვნიკები კორუფციულ გარიგებებში შედიოდნენ ორგანიზაციის ხელმძღვანელებთან და ხდებოდა დიდი რაოდენობით თანხების არამიზნობრივი ხარჯვა), მეორე მხრივ, სახელმწიფოს ჯერ არ აქვს მოფიქრებული ეფექტური მექანიზმი, რომლითაც დარეგულირდებოდა ურთიერთობა სახელმწიფოსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის. ეს არ ნიშნავს, რომ სახელმწიფო საერთოდ უარს ამბობს საზოგადოებრივი ორგანიზაციებისგან სერვისის შესყიდვაზე. დღესდღეობით ეს პროცესი რეგულირდება კანონით სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, თუმცა უმეტესობა ორგანიზაციებისა, რომელიც სახელმწიფოს სთავაზობს სერვისს, ფიქრობს, რომ ეს მექანიზმი არაეფექტურია. ამის მიზეზად კი სახელდება: სატენდერო დოკუმენტაციის მომზადების სირთულე, ტენდერის პროცედურების გაუმართაობა, სახელმწიფოს მიერ სერვისზე დადგენილი ფასების სიმცირე, სატენდერო ხელშეკრულების სახე, რომელიც არის სახელმწიფო შეკვეთა და იბეგრება ისეთივე რეჟიმით, როგორც სამეწარმეო საქმიანობა. გარდა ამისა, ზრუნვაზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების ნაწილისათვის ტენდერის შესახებ

გარდა სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსების პრობლემისა, ზრუნვაზე ორიენტირებული ორგანიზაციების აზრით, საქართველოში დგას ასეთი ტიპის ორგანიზაციათა დაფინანსების პრობლემა დონორების მხრიდანაც. მათი აზრით, საქართველოში არსებული საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების უმეტესობის მანდატი არ ითვალისწინებს სოციალური სფეროს დაფინანსებას, რის გამოც ორგანიზაციებს უწევთ საქმიანობის მორგება დონორთა პრიორიტეტებზე და ისეთი სახის პროექტების განხორციელება, რაც არ არის მიმართული მათ კონკრეტულ სამიზნე ჯგუფზე. კვლევამ ეს პრობლემა სტატისტიკურადაც დაადასტურა: ზრუნვაზე ორიენტირებული ორგანიზაციებიდან 14% შერეული ტიპის ორგანიზაციაა, რომელთაც განხორციელებული აქვთ როგორც სხვადასხვა სოციალური ჯგუფის კეთილდღეობაზე მიმართული პროექტები, ასევე პროექტები, რომლებიც არ არის დაკავშირებული კონკრეტული საჭიროებების მქონე ადამიანთა კეთილდღეობის გაუმჯობესებასთან. გარდა ამისა, თავად სერვისის პროვაიდერებზე ხშირ შემთხვევაში უარს არ ამბობენ ასეთი ტიპის დაფინანსებაზე, ჯამში მათ მიერ განხორციელებული პროექტების 1/5-ს ასეთი ტიპის პროექტები წარმოადგენს. ორგანიზაციათა უმეტესობის აზრით, საქართველოში ბიზნესსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის ჯერ კიდევ არ არის მყარი თანამშრომლობითი კავშირები. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ორგანიზაციის დაფინანსებაში მცირე წვლილი შეაქვს ბიზნეს ორგანიზაციებს, თანამშრომლობა უმეტეს შემთხვევაში, ერთჯერად სპონტანურ ხასიათს ატარებს და უფრო

(გაგრძელება მე-4 გვ.)

**(გაგრძელება)**

საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტიურობის შედეგადა, ვიდრე ბიზნესის წარმომადგენელთა ინიციატივა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში არსებობს კანონი ქველმოქმედების შესახებ, რომელიც ბიზნეს ორგანიზაციებს ქველმოქმედების გაწევის შემთხვევაში შელავათიან საგადასახადო რეჟიმში აქცევს, ორგანიზაციათა უმეტესობამ ამის შესახებ არ იცის და არ არის დარეგისტრირებული საქველმოქმედო ორგანიზაციადა.


აღნიშნული პრობლემების გარდა, გამოკითხული ორგანიზაციების მხრიდან გამოიკვეთა ისეთი სახის პრობლემა, როგორცაა კანონმდებლობა, რაშიც ორგანიზაციათა ერთი ნაწილი გულისხმობს ზოგადად სახელმწიფოს სოციალურ პოლიტიკას, ნაწილი კი ზრუნვაზე ორიენტირებული ორგანიზაციებისათვის საგადასახადო რეჟიმის შეცვლას. პრობლემათა შორის ასევე დასახელდა სადაზღვევო სისტემის მოუწესრიგებლობა.

გარე პრობლემებიდან გამოიკვეთა საზოგადოების დამოკიდებულების პრობლემა ზოგადად ზრუნვის ობიექტების მიმართ. ორგანიზაციათა უმეტესობამ აღნიშნა, რომ საზოგადოება არ არის ინფორმირებული იმ საკითხების შესახებ, რომლებიც გამოკითხული ორგანიზაციების ზრუნვის საგანს წარმოადგენს. ჯერ კიდევ მყარია სტერეოტიპი იმის შესახებ, რომ ინვალიდობა სამარცხვინოა, რომ ადამიანები, რომლებსაც განსაკუთრებული ზრუნვა ესაჭიროებათ, საზოგადოების სრულფასოვანი წევრები არ არიან. ხშირია შემთხვევები, როდესაც ჯანმრთელი ბავშვების მშობლები უარს ამბობენ საკუთარი შვილის კლასში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვი სწავლობდეს. კვლევის რაოდენობრივმა მონაცემებმა დაადასტურა ზემოთ გამოთქმული მოსაზრებები, რომ გამოკითხული ორგანიზაციების “საზოგადოების მხრიდან მხარდაჭერის” ქვეკრიტერიუმის მიხედვით სხვა პარამეტრებთან შედარებით ყველაზე ნაკლებად განვითარებულია.

ზრუნვაზე ორიენტირებული ორგანიზაციებისათვის მნიშვნელოვანია ტერმინოლოგიის პრობლემა. ორგანიზაციათა უმეტესობის წარმომადგენლებს არ მოსწონთ ის ტერმინები, რომლითაც საუბრობენ მათი ბენეფიციარების შესახებ სახელმწიფო მოხელეები, ჟურნალისტები, მოქალაქეები. კვლევითი ჯგუფი შეეცადა როდენობრივად შეესწავლა თუ რომელი ტერმინის მიმართ არის უფრო მაღალი მიმდობა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხრიდან და რომელი ტერმინია მიუღებელი. სხვადასხვა ორგანიზაციათა მიერ დასახელებული ტერმინების ჩამონათვალიდან გამოიკვეთა, რომ ტერმინების დამკვიდრებისას არც ზრუნვაზე ორიენტირებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს აქვთ ცალსახად ჩამოყალიბებული პოზიცია. მაგალითად, ორგანიზაციათა ნაწილისთვის (45.5%) მიუღებელია ტერმინი “ინვალიდის” ხმარება, ამავე დროს ტერმინის დამკვიდრებას მხარს უჭერს ორგანიზაციათა 13%.

დიაგრამებზე # 2 და #3 მოცემულია ყველა დასახელებული ტერმინის განაწილება.

**დიაგრამა 2. ტერმინები რომელთა ხმარება მიუღებელია ორგანიზაციების წარმომადგენელთათვის**




(გაგრძელება მე-5 გვ.)

**საკონკურსო განაცხადი**  
 საერთაშორისო განათლების ამერიკული საბჭოები აცხადებს აშშ-ის მთავრობის მიერ დაფინანსებულ გაცვლით პროგრამას მოსწავლეთათვის. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მე-9, მე-10, მე-11 კლასის მოსწავლეებს დაბადებულებს 1990 წლის 15 მარტიდან 1993 წლის 15 ივლისის ჩათვლის შეუძლიათ კონკურსში მონაწილეობა.  
**დამატებითი ინფორმაცია** – გაზეთი „კვირის პალიტრა“, 17–23 სექტემბერი ან <http://www.civilin.org/welfare>

**(გაგრძელება)**

**დიაგრამა 3. ტერმინები, რომელთა ხმარება მისაღებია ორგანიზაციათა წარმომადგენელთათვის.**



ორგანიზაციის საქმიანობის ხელისშემშლელი შიდა ფაქტორებიდან გამოიკვეთა კადრების კვალიფიკაციის პრობლემა – გამოკითხული ორგანიზაციების 38.2% აღნიშნავს, რომ კადრების კვალიფიკაციის პრობლემა აქვს, რაც გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ამ ორგანიზაციათა უმეტესობას კადრების მომზადების სისტემა არა აქვს. უმეტეს შემთხვევაში მათ ხელი არ მიუწვდებიათ ინფორმაციაზე ტრენინგებისა და სემინარების შესახებ, რომელიც ტარდება ქვეყნის მასშტაბით. ან არ გააჩნიათ სათანადო სახსრები ასეთი ტიპის ტრენინგებზე კადრის მივლინებისათვის.

შიდაორგანიზაციულ შემაფერხებელ ფაქტორებს მიეკუთვნება არასაკმარისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (20.4%): საკუთარი საოფისე ფართის არარსებობა, სახელოსნოების, დამხმარე სათავსოების, სპორტული დარბაზის და ა.შ. განსათავსებელი შენობის უქონლობა, სპეციალური მოწყობილობების უქონლობა, ინტერნეტის ხელმისაწვდომობა. გარდა ფინანსური, ტექნიკური და ადამიანური რესურსების ნაკლებობისა,

გამოიკვეთა პრობლემები, რომლებიც უკავშირდება ორგანიზაციის გარე ურთიერთობებსა და საქმიანობის მართვას. ორგანიზაციათა 10.2%-მა აღნიშნა, რომ მას მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის მექანიზმების დახვეწა ესაჭიროება, ამავე პრობლემაში გაერთიანდა ორგანიზაციათა 5.6%-ის მიერ დასახელებული PR-მენეჯერის საჭიროებაც. საქმიანობის მართვის მიმართულებით გამოიკვეთა ორი პრობლემა – ეს არის სტრატეგიული დაგეგმვის პრობლემა და მიზანზე ორიენტირებული პროექტების წერის არცოდნა, რომელიც თავის მხრივ დაკავშირებულია ერთმანეთთან. უნდა აღინიშნოს, რომ საქმიანობის ხელისშემშლელ პრობლემად ორგანიზაციათა უმეტესობამ (78.3%) გარე ფაქტორები დაასახელა, ხოლო 42.2%-მა - შიდა ორგანიზაციული ფაქტორებზეც გააკეთა აქცენტი.

კვლევის ინტერესს შეადგენდა, დადგენილიყო რა სამართლებრივი საკითხების მოგვარება დასჭირდება ორგანიზაციებს და სირთულის რა ხარისხთან იყო მათი გადაჭრა დაკავშირებული. ცხრილში #4 მოცემულია სამართლებრივი საკითხების ჩამონათვალი და მათი შეფასების სირთულე.

**(გაგრძელება მე-6 გვ.)**

**საკონკურსო განაცხადი**  
 1. ჰაინრიკ ბილოის ფონი აცხადებს კონკურსს რეგიონალური სასტიკენდიო პროგრამისათვის სოციალურ მეცნიერებებში.  
**დამატებითი ინფორმაცია** – გაზეთი „24 საათი“, 15 სექტემბერი  
 ან  
<http://www.civilin.org/welfare>

2. ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო აცხადებს ორეტაპიან, საერთაშორისო ტენდერს პირველადი ჯანდაცვის 2007 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მოსახლეობის ამპულატორიული დახმარების კომპონენტის ზოგადი ამპულატორიული დახმარების ქვეკომპონენტის მიხედვით სამედიცინო მომსახურების შესყიდვის მიზნით ქ. თბილისში და იქვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.  
**დამატებითი ინფორმაცია** – გაზეთი „24 საათი“, 15 სექტემბერი  
 ან  
<http://www.civilin.org/welfare>

## (გაგრძელება)

## ცხრილი 4. სამართლებრივი საკითხების შეფასების სირთულე

სამართლებრივი საკითხები	დასჭირვებიათ	ძალიან რთული	უფრო რთული	უფრო ადვილი	ძალიან ადვილი
შიდორგანიზაციული დოკუმენტების მომზადება (წესდება, შინაგანაწესი და სხვა რეგულაციები)	97.5	0	2.6	44.2	51.9
ორგანიზაციის რეგისტრაცია (ცვლილებების რეგისტრაცია)	91	1.4	12.7	38	47.9
შრომითი ურთიერთობების მოგვარება	74	0	3.6	42.9	53.6
საგადასახადო საკითხები	87.2	5.9	26.5	44.1	23.5
უძრავი ქონების რეგისტრაცია	35.9	20	28	16	36
სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით მიღება (უზუფერუქტი, იჯარა, ქირა)	41	29	32.3	19.4	16.1
სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სარგებლობის უფლებით მიღება (უზუფერუქტი, იჯარა, ქირა და სხვა)	3.9	30	33	20	17
სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის განკარგვის პროცესში მონაწილეობა	13	0	40	40	20
ხელშეკრულებების შედგენა	56.4	0	8.9	42.2	48.9
ლიცენზირება სნებართვების მიღება	32.5	0	10.9	41.3	47.8
სახელმწიფო შესყიდვების პროცედურებში მონაწილეობა	25.6	35.0	25.0	25.0	15
საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა (საჯარო დაწესებულებებიდან)	55.8	19.6	15.2	37	28.3

როგორც ცხრილიდან ჩანს, ორგანიზაციების უმეტესობას დასჭირვებია რიგი სამართლებრივი საკითხების მოგვარება, მათი ნაწილის მოგვარება არ არის დაკავშირებული სირთულესთან. თუმცა გამოიკვეთა საკითხები, რომელთა მოგვარება უფრო მეტად იყო სირთულეებთან დაკავშირებული. ასეთებია: სახელმწიფო შესყიდვების პროცედურებში მონაწილეობა, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის განკარგვის პროცესში მონაწილეობა, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით მიღება.

## საკონკურსო განაცხადი

1.ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო აცხადებს ხელახალ, ორეტაპიან ტენდერს მოსახლეობის სტაციონარული დახმარების 2007 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ჰემოფილიით დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილთა მკურნალობის კომპონენტის მიხედვით სამედიცინო მომსახურების შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

დამატებითი ინფორმაცია – გაზეთი „24 საათი“, 21 სექტემბერი

ან

<http://www.civilin.org/welfare>

2.ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო აცხადებს ხელახალ, ორეტაპიან ტენდერს დაავადებათა პროფილაქტიკის სახელმწიფო პროგრამის დაავადებათა (მ.შ. ნარკომანიის) პროფილაქტიკის კომპონენტის ნარკომანიის პროფილაქტიკურ ღონისძიებათა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების და ავადობის აქტიური გამოვლინებებისა და მოსახლეობის სამედიცინო-პროფილაქტიკური გასინჯვების ქვეკომპონენტის მიხედვით სამედიცინო მომსახურების შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

დამატებითი ინფორმაცია – გაზეთი „24 საათი“, 21 სექტემბერი

ან

<http://www.civilin.org/welfare>

### პრესის მონიტორინგი




#### სოციალურ სფეროზე

ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის საარსებო გარემოს გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი მუშაობს პრესაში გამოქვეყნებული სოციალური თემების მონიტორინგზე. ვაკვირდებით სოციალურ სფეროზე ორიენტირებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე და მათ ბენეფიციარებზე გასულ პუბლიკაციებს. ამისთვის შევარჩიეთ ყოველდღიური და რეიტინგული გამოცემები – „რეზონანსი“, „ბასტა“, „მთელი კვირა“, „24 საათი“, „კვირის პალიტრა“, „ალია“, „ქრონიკა“, „ჯორჯიან თაიმსი“, „ახალი თაობა“, „ცხელი შოკოლადი“, „სარკე“, „თბილისელები“.

#### პრესის აქტივობა

აგვისტოს თვის განმავლობაში პრესაში გამოქვეყნდა 26 პუბლიკაცია.



- ახალი თაობა
- ალია
- სარკე
- რეზონანსი (ბასტა)
- კვირის პალიტრა


#### თემატური აქტივობა

პრესაში გამოქვეყნებული პუბლიკაციებიდან მზრუნველობამოკლებული ბავშვების შესახებ 3 პუბლიკაცია დაიბეჭდა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების შესახებ 10, ქველმოქმედებისა და მოხალისეობაზე თითო-თითო წერილი, დეინსტიტუციონალიზაციის საკითხებზე 2 პუბლიკაცია დაიბეჭდა, აივ ინფექციის შესახებ – 5 წერილი გამოქვეყნდა, უშუალოდ სოციალურ

სფეროზე მომუშავე საზოგადოებრივი ორგანიზაციების ორგანიზაციულ საკითხებს 4 წერილი მიეძღვნა.

#### ტერმინები

პრესაში გამოქვეყნებული ტერმინები



- ინვალიდი
- უნარშეზღუდული
- ფიზიკური პრობლემების მქონე
- ფსიქიკური პრობლემების მქონე
- ფიზიკური ნაკლი
- ფსიქიკური ნაკლი
- უსინათლო
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი
- მზრუნველობამოკლებული
- მიუსაფარი ბავშვი
- უპატრონო ბავშვი
- ხანდაზმული

#### საკონკურსო განაცხადი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აცხადებს კონკურსს ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებების დირექტორთა შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

დამატებითი ინფორმაცია – გაზეთი „24 საათი“, 20 სექტემბერი ან

<http://www.civilin.org/welfare>